საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 22 0000590269

03/06/2022

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 03 თებერვლის №54701 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სტაჟირების გავლის წესის“ მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, ცენტრის დაგეგმის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2022 წლის 20 მაისის №522926 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ცენტრში დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სტაჟიორთა შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) – 1 ადგილზე.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატთა განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge - კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით - 2022 წლის 03 ივნისიდან 2022 წლის 12 ივნისის ჩათვლით.
3. დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვროს 3 თვის ვადით და სტაჟირების გავლის მსურველი (შემდგომში -კანდიდატი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
3.1. არის საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას (ქართულს) C2 დონეზე, არის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით;
3.2. საოფისე პროგრამების კარგად ცოდნა - Microsoft Office Word; Microsoft Office Excel;
3.3. ინგლისური ენის B2 დონეზე (წერა და მეტყველება) ფლობა;
3.4. საკონკურსო თემატიკის ცოდნა - "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი

დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;
3.5. აქვს საჭირო უნარები:
ა) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
ბ) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
გ) კომუნიკაციის უნარი.
4. სტაჟიორთა ფუნქცია-მოვალეობად განისაზღვროს: ხელმძღვანელის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება, რომელიც მიმართული იქნება სტაჟიორის პროფესიულ ზრდის, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
5. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ვებგვერდის - www.hr.gov.ge მეშვეობით, ჩემი რეზიუმეს შესაბამის ველში უნდა ატვირთოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რითაც დასტურდება სწავლის ფაქტი;
ბ) მიუთითოს 1 (ერთი) რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია).
გ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში სტაჟირების გავლა.
6. კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:
ა) განცხადების გადარჩევა;
ბ) შეფასება.
7. კანდიდატის შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე.
8. საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს ქულათა დაჯამების საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
9. ცენტრის დირექტორს სტაჟიორად დასანიშნად წარედგინოს საუკეთესო შედეგების მქონე ის კანდიდატი, რომლის საბოლოო ქულა იქნება ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი;
10. დაევალოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით, კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
11. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.
12. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ